

შპს თიარ უძრავი ქონების
2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	31.12.24	31.12.23	31.12.22
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	590 312,38	674 398,05	1 121 161,00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	898 591,16	317 886,79	1 240 411,17
მარაგები	14 861 375,36	15 515 631,17	13 592 768,62
	16 350 278,90	16 507 916,01	15 954 340,79
გრძელვადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	6 456 108,01	3 520 396,14	3 645 419,89
წმინდა ძირითადი საშუალებები	47 418,27	24 815,95	305,08
	6 503 526,28	3 545 212,09	3 645 724,97
	22 853 805,18	20 053 128,10	19 600 065,76
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 055 169,83	39 946,74	164 257,66
	2 055 169,83	39 946,74	164 257,66
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	19 265 096,31	19 322 860,61	19 466 268,10
	19 265 096,31	19 322 860,61	19 466 268,10
საკუთარი კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	1 533 539,04	690 320,75	(30 460,00)
	1 533 539,04	690 320,75	(30 460,00)
	22 853 805,18	20 053 128,10	19 600 065,76

დირექტორი

3. რაშიდმანეშ

საქმიანობის შედეგების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2024	2023	2022
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	3 593 859,28	2 351 246,38	4 228 783,33
შემოსავალი მომსახურებიდან	-	-	-
გაცივებული საქონლის თვითღირებულება	(2 137 379,81)	(1 347 938,71)	(2 800 408,14)
საერთო მოგება	1 456 479,47	1 003 307,67	1 428 375,19
დასაქმებულთა ანაზღაურება	(149 875,77)	(102 307,98)	(99 388,01)
ცვეთდა ამორტიზაცია	(5 867,73)	(623,48)	-
საპროცენტო ხარჯები	(13 975,85)	-	-
იჯარა	-	-	-
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	(415 281,06)	(186 591,79)	(130 067,47)
საოპერაციო მოგება	871 479,06	713 784,42	1 198 919,71
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(28 260,77)	7 945,54	(7 147,80)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	843 218,29	721 729,96	1 191 771,91
მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	843 218,29	721 729,96	1 191 771,91
კაპიტლი პერიოდის დასაწყისში	690 320,75	(30 460,09)	(1 222 232,00)
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
ცვლილებები რეზერვები და დაფინანსებაში	-	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	(949,12)	-
კაპიტალი პერიოდის ბოლოს	1 533 539,04	690 320,75	(30 460,09)

დირექტორი

ჰ. რაშიდმანეშ

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თიარ უძრავი ქონება“ (ს/ნ 405208822, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2017 წლის 23 მაის. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ზ. ავალიშვილის ქ. #8.

კომპანიის 100% წილის მფლობელი პარტნიორია კომპანია „აიანდე ლიმიტიდი“ (გირჯინის კუნძულები, ID 676594).

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- აღმასრულებელი დირექტორი - ჰამიდ რეზა რაშიდმანეშ;
- აღმასრულებელი დირექტორი - კარიმ რაშიდმანეშ;
- აღმასრულებელი დირექტორი - ალექ როჯერ ბართ.

კომპანიის საქმიანობაა უძრავი ქონების ყიდავ-გაყიდვა.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შვილობილი	31.12.2023	31.12.2024
შპს "დიზაინ სტუდიო"	100%	100%

შპს “დიზაინ სტუდიო ” (ს/ნ 405497056) დაფუძნებულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის შესაბამისად 2021 წლის 8 დეკემბერს.

კომპანიის დირექტორია ჰამიდ რეზა რაშიდმანეში.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია ქ. თბილისი, ზურა ავალიშვილის ქუჩა, N 8

კომპანიის ბიზნეს საქმიანობაა ავეჯით ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები გაყიდვებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და ამონაგებთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.